



ა(ა)იპ საორსა

2022

ფინანსური ანგარიშგება

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან
ერთად**

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2

სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 3

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება..... 4

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 5

1. ა(ა)იპ საორსა და მისი საქმიანობა..... 6

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 6

განცხადება შესაბამისობის თაობაზე 6

3. მომზადების საფუძვლები 6

3.1 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა 7

3.2 შეფასებისა და დაშვებების გამოყენება 7

4. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა 7

4.1 უცხოური ვალუტა 7

4.2 ძირითადი საშუალებები 8

4.3 ფინანსური ინსტრუმენტები- გაზომვის ძირითადი პირობები..... 9

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა..... 9

სესხები და მოთხოვნები 10

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 10

ფული და ფულის ეკვივალენტები 10

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები..... 10

4.4 გაუფასურება 10

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება 10

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება 11

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება 12

4.5 გრანტები 12

4.6 მოგების გადასახადი 13

4.7 შემოსავლის აღიარება 13

4.8 შემოსავალი მომსახურებიდან..... 13

5. ფული და ფულადი სახსრები 13

6. ძირითადი საშუალებები 14

7. საოპერაციო შემოსავალი..... 14

8. მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები 14

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები..... 15

ფინანსური ინსტრუმენტები- რისკები მართვა 15

გაუთვალისწინებელი გარემოებები 16

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ა(ა)იპ საორსა-ს აღმასრულებელ საბჭოს და მენეჯმენტს:

მოსაზრება

ჩავატარეთ ა(ა)იპ საორსა-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშისაგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ა(ა)იპ საორსა-ს ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. ჩვენ ვართ დამოუკიდებელი ა(ა)იპ საორსა-ს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (შემდგომში IESBA კოდექსი“) შესაბამისად, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების



TIAG MEMBER IN GEORGIA

Finance Experts Corporate
88, V. Gorgasali str, Batumi, 6010, Georgia
www.fec.ge, info@fec.ge
+995 599 26 25 68

მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ა(ა)იპ საორსა-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ა(ა)იპ საორსა-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო

შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ა(ა)იპ საორსა-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი მსჯელობები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ორგანიზაცია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.


შპს „Fin.Exp.Corporation“-ის სახელით (რეგ #SARAS-F-758026)

ირმა ჩხაიძე (რეგ#SARAS-A-728904)



17 ოქტომბერი 2024 წელი

ბათუმი, საქართველო



2022

ფინანსური ანგარიშგების შენიშნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021	2020
<i>აქტივები</i>				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	59	162	40,421
მიმდინარე მარაგები		-	-	-
სავაჭრო მოთხოვნები		-	-	-
გადახდილი ავანსი		-	90	-
სხვა საგადასახადო აქტივი		336	22	180
ძირითადი საშუალებები	6	1,595	2,175	2,755
სულ აქტივები		1,990	2,449	43,356
<i>ვალდებულებები</i>				
მოკლევადიანი ვალდებულებები		11	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		11	-	-
გადავადებული შემოსავალი		-	13,075	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	13,075	-
სულ ვალდებულებები		11	13,075	-
<i>საკუთარი კაპიტალი</i>				
საწესდებო კაპიტალი		-	4	-
დაგროვილი მოგება / (ზარალი)		1,979	(10,630)	43,356
სარეზერვო კაპიტალი		-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		1,979	(10,626)	43,356
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,990	2,449	43,356

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს

დირექტორი: ლია ფუტყარაძე

ბუღალტერი: მაგული სამნიძე

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, (ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი გრანტებიდან	7	115,158	50
შემოწირულობა	7	4,287	1,700
სხვა საოპერაციო შემოსავლები	7	375	-
საოპერაციო ხარჯები		(13,173)	(9,742)
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	8	(40,864)	(14,841)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(53,578)	(33,731)
საოპერაციო მოგება		12,205	(56,564)
საკურსო სხვაობის შემოსავალი/(ხარჯი)		(21)	(5)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		426	2,583
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		12,609	(53,986)
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		12,609	(53,986)

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს

დირექტორი: ლია ფუტკარაძე

ბუღალტერი: მაგული სამნიძე



2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, (ქართულ ლარში)


ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2022	2021
მიღებულია გრანტები	102,084	5,568
მიღებული შემოწირულობა	3,387	-
მიღებული შემოწირულობის უკან დაბრუნება	(15)	-
მიღებულია დებიტორებისგან	4,683	-
გაცემულია ანგარიშვალდებულ პირებზე	-	(315)
გაცემულია მომწოდებლებზე	(68,842)	(15,903)
გადახდილი გადასახადები	(14,180)	(14,269)
გადახდილია ხელფასები	(27,200)	(16,982)
არასაოპერაციო ხარჯი	-	(54)
კაპიტალის შევსება	-	1,700
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(82)	(40,255)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		
ძირითადი საშუალების შეძენა	-	-
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	-	-
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და მის ექვივალენტებზე	(21)	(4)
წმინდა(კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მის ექვივალენტებში	(103)	(40,259)
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	162	40,422
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	59	162
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ნაშთი	59	162

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს

დირექტორი: ლია ფუტყარაძე

ბუღალტერი: მაგული სამნიძე



2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, (ქართულ ლარში)


საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება / (ზარალი)	სარეზერვო კაპიტალი	ჯამი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	43,356	-	43,356
2021 წელი	4	(53,986)	-	(53,982)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4	(10,631)	-	(10,627)
2022 წელი	(4)	12,609	-	12,605
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1,979	-	1,979

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს

დირექტორი: ლია ფუტყარაძე

ბუღალტერი: მაგული სამნიძე



1. ა(ა)იპ საორსა და მისი საქმიანობა

ა(ა)იპ საორსა (ს/კ 445528448) ფუნქციონირებს 2018 წლიდან.

ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორია - ლია ფუტკარაძე, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარეა - ლელა ფუტკარაძე.

ძირითადი საქმიანობა

შრომითი რესურსების, პროფესიული და კარიერული განვითარების ხელშეწყობა; ახალგაზრდებისა და ქალთა თანამონაწილეობის უზრუნველყოფა რეგიონის განვითარების პროცესებში; სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა; კვლევების წარმოება.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა - ორგანიზაციის იურიდიული მისამართია ბათუმი, ლერმონტოვის ქ. #913

ფაქტიური მისამართი და ადგილმდებარეობა - ორგანიზაციის ფაქტიური მისამართია: ბათუმი, ლერმონტოვის ქ. #91ა.

ანგარიშგების ვალუტა - ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ამჟამად მსს ფასს არ შეიცავს არამომგებიანი ორგანიზაციებისთვის ფინანსური ანგარიშგების წარდგენაზე სპეციფიურ მითითებებს არამომგებიანი ორგანიზაციების სპეციფიური ოპერაციების აღრიცხვაზე და წარდგენაზე, ორგანიზაციის საადრიცხვო პილიტიკები ეფუძნება მსს ფასს-ის ძირითად პრინციპებს, როგორც ისინი აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მომზადებულ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სტრუქტურულ საფუძვლებში.

3. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ორგანიზაციის პირველ წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს).

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას ორგანიზაციის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც მსჯელობის ან კომპლექსურობის მაღალ ხარისხს შეიცავს.

ასევე სფეროები, რომლებშიც ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა შეფასებებს მოიცავს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგები მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. პოლიტიკა პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3.1 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ორგანიზაციის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს მის ოპერაციებს და ორგანიზაციის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარდგენილია ლარში დამრგვალებული ერთეულამდე.

3.2 შეფასებისა და დაშვებების გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მცირე და საშუალო საწარმოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მთელ რიგ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, ასევე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. ამგვარი შეფასებები ეფუძნება ხელმძღვანელობის ცოდნას მიმდინარე მოვლენებზე და მოლოდინებს მომავალთან დაკავშირებით, თუმცა რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ახლანდელი შეფასებებისგან და შესაბამისად მომავალში ეს შეფასებები და დაშვებები შესაძლოა შეიცვალოს.

4. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

4.1 უცხოური ვალუტა

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდისთვის ძირითადი სავალუტო კურსები წარმოდგენილია ქვემოთ:

დოლარი
31.12.2021 – 3.0976
31.12.2022 – 2.7020

ევრო
31.12.2021 – 3.5040
31.12.2022 – 2.8844

4.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ისეთი ელემენტები, როგორცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე მოწყობილობები და ტექნომსახურებისა და რემონტისთვის განკუთვნილი მოწყობილობები აღიარდება წინამდებარე განყოფილების შესაბამისად, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სხვა შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც მარაგი.

საწარმომ ძირითადი საშუალება თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეაფასოს თვითღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების თარიღისთვის გადასახდელი მიმდინარე ფასის ეკვივალენტური ოდენობით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ ძირითადი საშუალების თვითღირებულება იქნება ყველანაირი სამომავლო გადასახდელის დღევანდელი ღირებულება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ ყველა ძირითადი საშუალება უნდა აღრიცხოს. მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

საწარმომ აქტივის ცვეთადი ღირებულება უნდა გაანაწილოს სისტემატურ საფუძველზე, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთა - მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ სასარგებლო ვადაზე მათი ღირებულების თანაბარი განაწილებით:

	სასარგებლო მომსახურების ვადები (წელი)
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20
ოფისის აღჭურვილობა	20

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც ორგანიზაცია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც სალოდნელია მისი 6-16 გვერდზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, (ქართულ ლარში)

სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

4.3 ფინანსური ინსტრუმენტები- გაზომვის ძირითადი პირობები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნეზისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

საწარმომ ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის უნდა გამოიყენოს ამორტიზებული ღირებულების მოდელი, გარდა არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებსა და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციებისა, რომლებიც საჯაროდ იყიდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვაგვარად არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე.

მსს ფასს „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“, საწარმო ძირითად ფინანსურ აქტივებსა და ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გარდა არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებსა და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციებისა, რომლებიც საჯაროდ იყიდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვაგვარად არის შესაძლებელი, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე და მათი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულს და ფულის ეკვივალენტებს

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭროსაც მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში ისინი წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების - რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ ორგანიზაცია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორების მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის სხვაობით. ამ მიზნებისთვის შესაბამისი თავდაპირველი ეფექტი საპროცენტო განაკვეთია.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე, ის მოთხოვნები, რომლებისგანაც თანხების ამოღება მოსალოდნელი არ არის. პირდაპირ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ჩამოიწერება ხარჯად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ორგანიზაციის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე და სალაროში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

4.4 გაუფასურება

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ამ აქტივს არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მისი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებს, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, (ქართულ ლარში)

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის სხვაობა. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება

ანფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ. გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ არის გადაფასებული მდგომარეობით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის შებრუნება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

აღიარება არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში იმ მუხლის ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯის განმარტებას და შემდეგ კრიტერიუმებს:

- ✓ მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა, და
- ✓ მუხლს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. თუ არ აღიარდება მუხლი, რომელიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, ამის გამოსწორება არ შეიძლება არც გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით და არც განმარტებით შენიშვნებში ან სხვაგან რაიმე განმარტებითი ინფორმაციის გამჟღავნების გზით. მომავალი ეკონომიკური სარგებლის ალბათობა
- ✓ ფინანსური ანგარიშგების ამა თუ იმ ელემენტის თავდაპირველი აღიარების კრიტერიუმში ალბათობის ცნებას იყენებენ მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლის ან საწარმოდან გასვლისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის ხარისხის დასადგენად. მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოძრაობისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის ხარისხის შეფასება ეყრდნობა იმ მტკიცებულებებს/ინფორმაციას, რომელიც ეხება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ პირობებს/გარემოებებს, როდესაც მზადდება ფინანსური ანგარიშგება. ამგვარი შეფასებები ცალ-ცალკე კეთდება ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მუხლისთვის და ასევე ინდივიდუალურად უმნიშვნელო მუხლებისგან შემდგარი დიდი ჯგუფისთვის.

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება

შეფასება არის ფულადი სიდიდეების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს პროცესი გულისხმობს შეფასებისთვის გარკვეული საფუძვლის შერჩევას. წინამდებარე სტანდარტი ადგენს, შეფასების რომელი საფუძველი უნდა გამოიყენოს საწარმომ სხვადასხვა ტიპის აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასებისთვის.

შეფასების ორი ყველაზე გავრცელებული საფუძველია პირვანდელი ღირებულება და რეალური ღირებულება: - აქტივების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური

ღირებულება. ვალდებულების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან ვალდებულების სანაცვლოდ მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისთვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამორტიზებული პირვანდელი ღირებულება არის აქტივის ან ვალდებულების პირვანდელ ღირებულებას პლუს, ან მინუს მისი პირვანდელი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ადრე აღიარებული იყო როგორც ხარჯი, ან შემოსავალი;

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გამოთვლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ გარიგებაში. ისეთ სიტუაციაში, როდესაც ნებადართულია ან მოითხოვება რეალური ღირებულების შეფასება.

შეფასება თავდაპირველი აღიარებისას თავდაპირველი აღიარებისას საწარმომ აქტივები და ვალდებულებები უნდა შეაფასოს პირვანდელი ღირებულებით, თუ წინამდებარე სტანდარტით სხვა საფუძვლის გამოყენება არ მოითხოვება. როგორცაა, მაგალითად რეალური ღირებულება.

4.5 გრანტები

გრანტი ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარდება მანამ, სანამ ხელმძღვანელობა არ არის დარწმუნებული, რომ ორგანიზაციას შეუძლია შეასრულოს საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები და, რომ გრანტი იქნება რეალურად მიღებული.

დონორისგან მიღებული უპირობო გრანტები, რომლებიც გამოიხსნის ზოგადად ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერისთვის, ან წარსულში უკვე გაწეული ხარჯების საკომპენსაციოდ, აღიარდება მაშინ, როდესაც ჩნდება მათი მიღების უფლება.

გრანტები, რომელთა ძირითადი მიზანი არ არის ძირითადი საშუალებების შეძენის დაფინანსება აღიარდება, როგორც აქტივებთან დაკავშირებული გრანტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გადაიტანება პერიოდულად, დაკავშირებული აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

სხვა პირობებიანი გრანტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება გადავადებული შემოსავლის სახით, როდესაც დონორთან საგრანტო ხელშეკრულება იდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გონივრულად მოსალოდნელია, რომ ორგანიზაცია შეასრულებს გრანტის პირობებს და გრანტი მიღებული იქნება. გადავადებული შემოსავალი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, (ქართულ ლარში)

გადადის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც შესაბამისი ხარჯები გაიწევა გრანტის მიზნებისთვის.

4.6 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

ორგანიზაციის მიერ გრანტების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შედეგები მოგების გადასახადით არ იბეგრება

4.7 შემოსავლის აღიარება

ორგანიზაციის შემოსავალი წარმოიქმნება მიღებული გრანტების გამოყენებითა და სხვა წყაროების გამოყენებით.

4.8 შემოსავალი მომსახურებიდან

გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მიიღება ორგანიზაციის მიერ შესრულებული კვლევისა და ტრენინგის ხელშეკრულებიდან. შემოსავალი ფასდება, როგორც მიღებული ან მისაღები პროცენტის რეალური ღირებულება და აღიარებულია, როდესაც:

- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება დაითვალოს;
- როცა შესაძლებელია, რომ დასრულების ეტაპისთვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს;
- ანგარიშგების თარიღისთვის კონტრაქტის დასრულების სტადია საიმედოდ არის შეფასებული; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ არის შეფასებული

5. ფული და ფულადი სახსრები

ფული და ფულადი სახსრები 2022 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

<u>პერიოდი</u>	<u>2022</u>	<u>2021</u>	<u>2020</u>
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	59	147	40,418
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	15	3
ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე	-	-	-
ჯამი	59	162	40,421

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, (ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2022 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ჯამი
ისტორიული ღირებულება			
31.12.2020	1,930	970	2,900
შეძენა	-	-	-
31.12.2021	1,930	970	2,900
შეძენა	-	-	-
31.12.2022	1,930	970	2,900
დაგროვილი ცვეთა			-
31.12.2020	97	49	145
პერიოდის ცვეთა	386	194	580
31.12.2021	483	243	725
პერიოდის ცვეთა	386	194	580
31.12.2022	869	437	1,305
წმინდა საბალანსო ღირებულება			-
31.12.2020	1,833	921	2,755
31.12.2021	1,447	727	2,175
31.12.2022	1,061	533	1,595

7. საოპერაციო შემოსავალი

საოპერაციო შემოსავალი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

<u>პერიოდი</u>	<u>2022</u>	<u>2021</u>
შემოსავალი გრანტებიდან	115,158	50
შემოწირულობა	4,287	1,700
სხვა საოპერაციო შემოსავლები	375	-
ჯამი	119,820	1,750

8. მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, (ქართულ ლარში)

მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები 2022 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

<u>პერიოდი</u>	<u>2022</u>	<u>2021</u>
შრომის ანაზღ. და საკომისიო გასამრჯელო	7,290	7,599
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	22,888	7,218
რეკლამის ხარჯები	27	25
სხვა	10,659	
ჯამი	40,864	14,841

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2022 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

<u>პერიოდი</u>	<u>2022</u>	<u>2021</u>
შრომის ანაზღაურება	34,694	21,661
წარმომადგენლობითი ხარჯი	3,956	1,252
სასტუმროს მომსახურება	370	3,557
საიჯარო ქირა	4,500	1,688
სხვა	10,058	5,573
ჯამი	53,578	33,731

ფინანსური ინსტრუმენტები- რისკები მართვა

ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო და საკრედიტო რისკი. ორგანიზაცია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნით. ძირითადი რისკები, რომლებიც ფინანსურ აქტივებთანაა დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ. ორგანიზაცია დაცული არ არის საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და განსაკუთრებით სავალუტო რისკისგან.

უცხოური ვალუტის რისკი

ორგანიზაციის კონტრაქტების უმრავლესობა დონორებთან დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში და ორგანიზაციას ასევე ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე განთავსებული აქვს უცხოურ ვალუტაში, აქედან გამომდინარე გამოვლინდება საკურსო სხვაობებით წარმოქმნილი მერყეობა.

ფინანსური რისკ-ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, (ქართულ ლარში)

გაუთვალისწინებელი გარემოებები

დონორის დაფინანსება

ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობა დამოკიდებულია მის უნარზე მოიპოვოს დონორის დაფინანსება პროექტებისთვის და მოიზიდოს სხვა შემოწირულობები წევრებისგან ან სხვა დაინტერესებული მხარეებისგან. ორგანიზაციის წარსული გამოცდილება ადასტურებს, რომ

მისი პროგრამები და პროექტები მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მისიის მისაღწევად. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ უახლოეს მომავალში საკმარისად ექნება

მხარდაჭერა დონორებისაგან მისი საქმიანობის, პროექტებისა და პროგრამების გასაგრძელებლად.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტების ცვლილებასთან. ხშირად განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო წარმომადგენელსა და იურისდიქციაში. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან კანონით დაარიცხონ ჯარიმები და საურავები.